ემოციური რეგულაციის, თანაგრძნობით კმაყოფილების, პროფესიული გადაწვისა და მეორადი ტრავმული სტრესის კავშირი სამართალდამცავი უწყების თანამშრომლებთან

მაკა ლაბაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქიკური ჯანმრთელობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნის შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მახაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაკა ლაბაძე

2026

[illegible]

წინამდებარე კვლევის მიზანია თანაგრძობით კმაყოფილებას, პროფესიულ გადაწვას, მეორად ტრავმულ სტრესსა და ემოციების რეგულაციის სტრატეგიებს შორის არსებული ასოციაციების შესწავლა. კვლევის საზმინე ჯგუფს წარმოადგენდნენ სამართალდამცავ უწყებაში დასაქმებული პირები, რომელთაც სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას უწევთ სხვადასხვა ტრავმულ მოვლენასთაან კონტაქტი, მუშაობა მაღალი პასუხისმგებლობისა და არასტანდარტული სამუშაო გრაფიკის პირობებში.

კვლევა განხორციელდა სსიპ. საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიის ბაზაზე. შერჩევაში მონაწილეობა მიიღო 78-მა რესპონდენტმა, რომელთაგან 45 მონაწილე (57.7%) იყო მამრობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო 33 მონაწილე (42.3%) - მდედრობითი სქესის. მონაცემთა შეგროვება განცხორციელდა ორი, საერთაშორისო პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებული ინსტრუმენტების, პროფესიული ცხოვრების ხარისხის კითხვარის (ProQOL) და ემოციური რეგულაციის კითხვარის გამოყენებით (ERQ). მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება განხორციელდა IBM SPSS Statistics (ვერსია 32.0.0.) მეშვეობით.

კვლევამ აჩვენა, რომ მეორადი ტრავმული სტრესი პროფესიული გადაწვის მნიშვნელოვანი პრედიქტორია. თანაგრძნობით კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი ამცირებს მეორადი ტრავმული სტრესის განვითარების ალბათობას. ასევე დადგინა, რომ თანაგრძნობით კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი დაკავშირებულია პროფესიული გადაწვის დაბალ მაჩვენებელთან. ემოციური რეგულაციის სტრატეგიებიდან, კოგნიტური გადაფასება დადებით კორელაციაშია თანაგრძნობით კმაყოფილებასთან და პროფესიული გადაწვის დაბალ მაჩვენებელთან, მაშინ როდესაც ემოციების ჩახშობა დაკავშირებულია პროფესიული გადაწვისა და მეორადი ტრავმული სტრესის მაღალ დონესთან.

კვლევის შედეგად მიღებული სარგებელი მნიშვნელოვანია როგორც ინდივიდუალურ, ისე ინსტიტუციურ დონეზე. ინდივიდუალურ დონეზე, კვლევა

მონაწილეებს დაემხარება საკუთარი ემოციური მდგომარეობისა და რეგულაციის სტრატეგიების გააზრებაში. სამართალდამცავ უწყებებს ეს შედეგები მისცემს შესაძლებლობას:

- ✓ შეიმუშავონ სპეციალიზებული ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პროგრამები
- ✓ დაგეგმონ და განხორციელონ პრევენციული ტრენინგები ემოციების რეგულაციის უნარის განვითარების მიზნით
- ✓ გააუმჯობესონ თანამშრომელთა ფსიქიკური ჯანმრთელობა და ცხოვრების ხარისხი.

Abstract

The aim of this study is to investigate the associations between compassion satisfaction, professional burnout, secondary traumatic stress, and emotion regulation strategies. The target group of the study consisted of employees working in law enforcement, who are exposed to traumatic events while performing their duties and work in an environment characterized by high responsibility and irregular working hours.

The study was conducted at the Academy of the Ministry if Internal Affairs. The sample consisted of 78 respondents (45 male, 33 female). Data were collected using two internationally recognized instruments:the Professional Quality of life Scale (ProQOL) and the emotion Regulation Questionnaire (ERQ). Statistical analysis of the data was performed using IBM SPSS statistics 32.0.0.

The result indicate that secondary traumatic stress is a significant predictor of professional borout. It was found that a high level of compassion satisfaction is associated with a lower level of professional burnout. Among emotion regulation strategies, cognitive reappraisal is positively correlated with compassion satisfaction and negatively with professional burnout. Whereas expressive suppression is associated with higher levels of both professional burnout and secondary traumatic stress.

The study findings have significant implications for both individual and institutional levels. These results will enable law enforcemet agencies to:

- ✓ Develop specialized psychological support programs
- ✓ Plan and implement preventive training aimed at developing emotion regulation skills
- ✓ Impove the mental health and quality of life of their employees.